

საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები
(ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი) I,II სემესტრი. 2017-2018 წელი
(დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

Question 1

ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ანგარიშები ჯგუფდება:

Select one:

- a. აქტივების ამსახველ ანგარიშებად
- b. ორივე პასუხი სწორია
- c. ვალდებულებებისა და კაპიტალის ამსახველ ანგარიშებად

Question 2

კომპანიის დებიტორული დავალიანება (მოთხოვნა) 4000 აშშ დოლარია, რომელიც წარმოშობისას 6000 ლარს შეადგენდა. დავალიანება დაიფარა ერთი თვის შემდეგ, როცა ვალუტის გასაცვლელი კურსი შეადგენდა 1აშშ დოლარი -1,42 ლარს. დებიტორული დავალიანების დაფარვით კომპანიას წარმოექმნა:

Select one:

- a. მოგება 320 ლარი;
- b. ზარალი 2520 ლარი
- c. ზარალი 320 ლარი ;

Question 3

გაიყიდა საქონელი 35000 ლარად დღე ჩათვლით. დღე განაკვეთი 18%-ია. დღე-ს თანხა შეადგენს:

Select one:

- a. 35000 ლარი
- b. 41300 ლარი
- c. 5338 ლარი;

Question 4

მიმწოდებლებისგან შექმნილია 5000 ლარის საქონელი დღე-ს გარეშე. დღე შეადგენს 18%, საქონლის შექმნის თვითღირებულება იქნება:

Select one:

- a. 5750;
- b. 5000;
- c. 6785

Question 5

მიღებულია უსასყიდლოდ ავტომანქანა. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

Select one:

- a. დებეტი 5490 „რეზერვები“
კრედიტი 2100 „ძირითადი საშუალებები“
- b. დებეტი 2100 „ძირითადი საშუალებები“
კრედიტი 3110 „ვალდებულებები მიწოდებიდან“
- c. დებეტი 2100 „ძირითადი საშუალებები“
კრედიტი 5490 „რეზერვები“

Question 6

დარიცხულია ძირითადი საშუალებების ცვეთა (ამორტიცაზია). შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

Select one:

- a. დებეტი 2200 „ძირითადი საშუალებების ცვეთა“
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“
- b. დებეტი 1630 „დაუმთავრებელი წარმოება“
კრედიტი 2200 „ძირითადი საშუალებების ცვეთა“
- c. დებეტი 2200 „ძირითადი საშუალებების ცვეთა“
კრედიტი 2100 „ძირითადი საშუალებები“

Question 7

საწარმომ სახელმწიფოსგან შეიძინა მინერალური წყლის მოპოვების ლიცენზია 340 000 ლარად; ლიცენზიის იურიდიულ გაფორმებაში გადაიხადა 500 ლარი. ლიცენზიის მოქმედების ვადა 20 წელია. ამორტიზაცია გაიანგარიშება წრფივი მეთოდით. განსაზღვრეთ ლიცენზიის საბალანსო ღირებულება მეხუთე წლის ბოლოს.

Select one:

- a. 255375 ლარი
- b. 255300 ლარი
- c. 258375 ლარი

Question 8

დაუკავდათ მუშა-მოსამსახურეებს საშემოსავლო გადასახადი. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

Select one:

- a. დებეტი 3130 „გადასახდელი ხელფასები“
კრედიტი 7120 „ხელფასის ხარჯი“
- b. დებეტი 7120 „პირდაპირი ხელფასი“
კრედიტი 3130 „გადასახდელი ხელფასები“
- c. დებეტი 3130 „გადასახდელი ხელფასები“
კრედიტი 3320 „გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი“

Question 9

რა არის საემისიო კაპიტალი?

Select one:

- a. აქციების ნომინალური ღირებულების ჯამი
- b. ბაზარზე ჩამოყალიბებული ფასი.
- c. ნომინალზე ზევით აქციის გაყიდვისას წარმოქმნილი დამატებითი კაპიტალი

Question 10

აქციების გამოშვება ოფციონით ნიშნავს:

Select one:

- a. არც ერთი პასუხი არ არის სწორი
- b. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობა შესაძლებელია შეუთანხმდეს თანამშრომლებს აქციების საბაზრო ფასთან შედარებით მაღალ ფასად მიყიდვის შესახებ.
- c. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობა შესაძლებელია შეუთანხმდეს თანამშრომლებს აქციების საბაზრო ფასთან შედარებით შეღავათიან ფასად მიყიდვის შესახებ.

Question 11

საწარმოს გააჩნდა შემდეგი მაჩვენებლები: მზა პროდუქციის ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში 75000 ლარი. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამოშვებული მზა პროდუქცია 60000 ლარი. მზა პროდუქციის ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 14000 ლარი. განსაზღვრეთ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.

Select one:

- a. 121000
- b. 90000
- c. 61000

Question 12

მოგება-ზარალის შესახებ ანგარიშგება შეიძლება მომზადდეს:

Select one:

- a. ორივე პასუხი სწორია
- b. ხარჯების ეკონომიკური შინაარსის მიხედვით დაჯგუფების მეთოდით
- c. ხარჯების ფუნქციური დანიშნულების მიხედვით დაჯგუფების მეთოდით

Question 13

როდის ფიქსირდება საწარმოს შემოსავლები ?

Select one:

- a. მაშინ, როცა მათი გამომუშავება მოხდა, ე.ი როცა საწარმომ მოიპოვა მიწოდებული საქონლის განაღდების უფლება
- b. მაშინ, როცა მათი განაღდება მოხდა

- c. არც ერთი პასუხი არ არის სწორი

Question 14

ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება უნდა შედგეს:

Select one:

- a. მხოლოდ საინვესტიციო საქმიანობის მიხედვით
- b. მხოლოდ საოპერაციო საქმიანობების მიხედვით
- c. საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის მიხედვით

Question 15

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში საწარმომ უნდა ასახოს შემდეგი ინფორმაცია:

Select one:

- a. მხოლოდ დამატებითი ინფორმაცია, რომელიც არ არის ასახული უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ აუცილებელია საწარმოს შესახებ ინფორმაციის სამართლიანი წარმოდგენისთვის
- b. ორივე პასუხი სწორია
- c. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის გამოყენებული საბაზისო ინფორმაცია და შერჩეული სააღრიცხვო პოლიტიკა;